


რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ დაკავების შემთხვევები საქართველოში

რუსეთი, 2008 წლიდან დღემდე, მცოცავ ოკუპაციასთან ერთად აგრძელებს მშვიდობიანი მოქალაქეების უკანონოდ დაკავებას.



2008-2022 წლებში რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ დააკავეს **3 397** პირი, მათგან **1 927** ოკუპირებული აფხაზეთის, ხოლო **1 470** ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით.

რუსეთის სამხედროების მიერ, ქალების გატაცების შემთხვევები 2008-2022 წლებში:

ბოლო 14 წელში ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით **319** ქალი დააკავეს, ხოლო ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - **174**.



493 ქალი

კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ყველა მოქალაქეს, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფლად **გადაადგილების უფლება** აქვს, თუმცა საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ადამიანები, მათ შორის **ქალები**, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებით ვერ სარგებლობენ.